3879463155371

www.info.court.ge

საქმე №3/2166-17

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

30 ნოემბერი, 2017 წელი ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნანა დარასელია
სხდომის მდივანი ნუცა კაპანაძე

მოსარჩელეები გულნარა ნიკოლიშვილი, თინა ლობჟანიძე

მოპასუხე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
წარმომადგენელი მაია დვალიძე- ჭელიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 02 მარტის №05-01/06/5335 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

1.2. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უზრუნველყოს მოსარჩელეების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება, ან საცხოვრებელი ფართის შესაძენად გამოუყოს შესაბამისი კომპენსაცია.

სასტუმრო „ავლაბარი"
გულნარა ნიკოლიშვილი პ.ნ. 59002003969
თინა ლობჟანიძე პ.ნ. 59002005154.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელი არ დაეთანხმა სარჩელს, მხარი დაუჭირა საქმეზე წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1]-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. დადგენილია, რომ მოსარჩელეები - გულნარა ნიკოლიშვილი და თინა ლობჟანიძე წარმოადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს (დევნილებს), რომლებზეც გაცემულია - იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:
- გულნარა ნიკოლიშვილის იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა (ს.ფ. 14).
- თინა ლობჟანიძის იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა (ს.ფ. 15).

3.1.2. 2011 წელს გულნარა ნიკოლიშვილის და თინა ლობჟანიძის დევნილ ოჯახებს, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირ №25-ში არსებული დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტში (სასტუმრო „აფხაზეთი") არსებული ფართიდან გასვლის სანაცვლოდ, შპს „ველაჯიომ" გადასცა ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში, გადახდის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობა სასამართლო:
- 2011 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულება (ს.ფ. 17-18);
- სასტუმრო „აფხაზეთის" დევნილთა სია (ს.ფ. 90-97);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №631 განკარგულებით 2011 წლის აგვისტოში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირ №25-ში მდებარე სასტუმრო „აფხაზეთის" შენობიდან გამოსახლებული 18 დევნილი ოჯახისათვის (დანართის შესაბამისად) საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის 256 680 (ორას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოთხმოცი) დოლარის ეკვივალენტი ლარის გამოყოფა.

ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის ოდენობა თითოეულ ოჯახზე განისაზღვრა 14 260 (თოთხმეტი ათას ორას სამოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №631 განკარგულება.

3.1.4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის №1940 განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, 2011 წლის აგვისტოში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირ №25-ში მდებარე სასტუმრო „აფხაზეთის“ შენობიდან გამოსახლებული 97 ოჯახის მიერ სასტუმროში ფაქტობრივად დაკავებული ოთახების რაოდენობის მიხედვით საკომპენსაციო თანხის (ოთახზე 14 260 (თოთხმეტი ათას ორას სამოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი) ანაზღაურების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის 1 031 020 (ერთი მილიონ ოცდათერთმეტი ათას ოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გამოყოფა.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის №1940 განკარგულება (ს.ფ. 88-89).

3.1.5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 02 მარტის №05-01/06/53335 წერილით გულნარა ნიკოლიშვილსა და თინა ლობჟანიძეს 2017 წლის 22 თებერვლის №5592 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ეცნობათ, რომ 2011 წელს ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზ. №25 მდებარე სასტუმრო „აფხაზეთში“ მათი ოჯახების მიერ მოკავებული ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის №1940 განკარგულების შესაბამისად, დამატებით გამოეყოთ სათანადო ფულადი კომპენსაცია. გათვალისწინებით იმისა, რომ მათ ოჯახებს აღნიშნულ ობიექტში მოკავებული ქონდათ ერთოთახიანი საცხოვრებელი ფართები, 2011 წელს მიღებულ საკომპენსაციო თანხას (10 000 აშშ დოლარი) თითოეული ოჯახისათვის დაემატა 4260 აშშ დოლარი, ვინაიდან, მათ ამ თანხაზე განაცხადეს უარი, იგი დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე

მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მათი საჩივარი არ იქნა განხილული, ვინაიდან არსებობს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე საკითხზე. კერძოდ, მიღებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის №1940 განკარგულება

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 02 მარტის №05-01/06/53335 წერილი (ს.ფ. 70).

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გულნარა ნიკოლიშვილის და თინა ლობჟანიძის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეები სადავოდ ხდიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 02 მარტის №05-01/06/53335 წერილის კანონიერების საკითხს. სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს მისი შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, ასევე სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების დებულებებთან.

6.2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს.

დადგენილია, რომ მოსარჩელეები - გულნარა ნიკოლიშვილი და თინა ლობჟანიძე წარმოადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს (დევნლებს), რომლებზეც გაცემულია - იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა.

ზემოხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-4 მუხლის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა განმარტებულია, როგორც დევნილის გრძელვადიან საცხოვრებლით უზრუნველყოფად.

მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეების დევნილ ოჯახებს, 2011 წელს თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირ №25-ში არსებული დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტში (სასტუმრო „აფხაზეთი") არსებული ფართიდან გასვლის სანაცვლოდ, შპს „ველაჯიომ" გადასცა ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში, გადახდის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს

პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით.

ამავე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №631 განკარგულებით 2011 წლის აგვისტოში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირ №25-ში მდებარე სასტუმრო „აფხაზეთის" შენობიდან გამოსახლებული 18 დევნილი ოჯახისათვის (დანართის შესაბამისად) საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის 256 680 (ორას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოთხმოცი) დოლარის ეკვივალენტი ლარის გამოყოფა. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის ოდენობა თითოეულ ოჯახზე განისაზღვრა 14 260 (თოთხმეტი ათას ორას სამოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 30 ოქტომბერს ასევე მიიღო №1940 განკარგულება, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2011 წლის აგვისტოში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირ №25-ში მდებარე სასტუმრო „აფხაზეთის" შენობიდან გამოსახლებული 97 ოჯახის მიერ სასტუმროში ფაქტობრივად დაკავებული ოთახების რაოდენობის მიხედვით საკომპენსაციო თანხის (ოთახზე 14 260 (თოთხმეტი ათას ორას სამოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი) ანაზღაურების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის 1 031 020 (ერთი მილიონ ოცდათერთმეტი ათას ოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გამოყოფა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 02 მარტის №05-01/06/53335 წერილით გულნარა ნიკოლიშვილსა და თინა ლობჟანიძეს 2017 წლის 22 თებერვლის №5592 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ეცნობათ, რომ 2011 წელს ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზ. №25 მდებარე სასტუმრო „აფხაზეთში" მათი ოჯახების მიერ მოკავებული ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის №1940 განკარგულების შესაბამისად, დამატებით გამოგეყოთ სათანადო ფულადი კომპენსაცია. გათვალისწინებით იმისა, რომ მათ ოჯახებს აღნიშნულ ობიექტში მოკავებული ქონდათ ერთოთახიანი საცხოვრებელი ფართები, 2011 წელს მიღებულ საკომპენსაციო თანხას (10 000 აშშ დოლარი) თითოეული ოჯახისათვის დაემატა 4260 აშშ დოლარი. ვინაიდან, მათ ამ თანხაზე განაცხადეს უარი, იგი დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე საჩივარი არ იქნა განხილული, ვინაიდან არსებობს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე საკითხზე. კერძოდ, მიღებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის №1940 განკარგულება.

სასამართლო მოიხმობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხე მხარის მითითებას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის №1940 განკარგულებაზე და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განკარგულება საკომპენსაციო თანხის გაცემის თაობაზე წარმოადგენს საქართველოს მთავრობისთვის კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას, ხოლო 2017 წლის 22 თებერვლის №5592 საჩივრით მოსარჩელეები ითხოვდნენ დამატებით საკომპენსაციო თანხის მიღებას. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული განკარგულება, მისი მიღების სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს იმავე საკითხზე მიღებულ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას და არ არსებობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4

მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა.

სასამართლო განმარტავს, რომ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარ აღიარებას, რომლებიც იმყოფებიან თანაბარ პირობებში, ხოლო მმართველობის კანონიერება გულისხმობს, რომ თანაბარ გარემოებებში მყოფი ადამიანებისათვის მოხდეს თანაბარი პრივილეგიების მინიჭება და შესაბამისად, თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრება. კანონის წინაშე თანასწორობა მოითხოვს პირის უფლებას კანონით უზრუნველყოფილ ისეთივე დაცვაზე, რითაც სარგებლობს სხვა მსგავს პირობებსა და გარემოებებში. შესაბამისად, მსგავსი მოცემულობების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ერთგვაროვანი მიდგომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან საქართველოს მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია სასტუმრო „აფხაზეთიდან" გამოსახლებული დევნილი ოჯახებისთვის დამატებითი საკომპენსაციო თანხის გამოყოფა, რომლის მიღებაზეც მოსარჩელეებმა უარი განაცხადეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა განეხილა გულნარა ნიკოლიშვილის და თინა ლობჟანიძის 2017 წლის 22 თებერვლის №5592 ადმინისტრაციული საჩივარი.

6.3. სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახამად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახამად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საქმის გარემოებების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილიც, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების

დროს. შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რაც, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, განსახილველ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე, რომელიც წარმოადგენს დევნილთა განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას, ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმიერად და სრული პასუხიმგებლობით მიუდგეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს - ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვროს დევნილი ოჯახის განსახლების საკითხი, რაც უნდა განახორციელოს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების დროს არ დაიცვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 02 მარტის №05-01/06/5335 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალოს ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადავო საკითხთან დაკავშირებით გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

7. საპროცესო ხარჯები

,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,კ'' და ,,უ'' ქვეპუნქტების თანახმად, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის

მე-9 მუხლის, მე-10 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, როგორც მოსარჩელეები ასევე მოპასუხე, განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, თუ ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. ამდენად, მოსარჩელე თინა ლობჟანიძეს უნდა დაუბრუნდეს სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-9, მე-10, მე-12, 32.4 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გულნარა ნიკოლიშვილისა და თინა ლობჟანიძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 02 მარტის №05-01/06/5335 ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

3. მოსარჩელე თინა ლობჟანიძეს დაუბრუნდეს მის მიერ 2017 წლის 27 მარტს სს ბანკ ,,რესპუბლიკაში'' სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი - 100 (ასი) ლარი.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე ნანა დარასელია